ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121207279**
თარიღი: **26/07/2021**
პინი: **3338**

ადრესატი: დავით მაისურაძე
პირადი ნომერი: 01002017916
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხრანის ქუჩა, N 53

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო დავით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა, თქვენი, 2021 წლის 19 ივლისის №0121200980-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ პოზიციას, მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი №01.19.21.002.517, №01.19.21.002.506, №01.19.21.002.509, №01.19.21.002.512, №01.19.21.002.518) მისასვლელ გზასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული №01.19.21.002.517, №01.19.21.002.506, №01.19.21.002.509, №01.19.21.002.512, №01.19.21.002.518 საკადასტრო ერთეულების მომიჯნავედ ფიქსირდება სატრანსპორტო ზონა (ტზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არის სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №01.19.21.002.517, №01.19.21.002.506, №01.19.21.002.509, №01.19.21.002.512 და №01.19.21.002.518 საკადასტრო ერთეულებს გააჩნიათ მისასვლელი გზა.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი